ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 17

"26" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის" (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის" (ს/კ 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №02.09.38 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის" (ს/კ 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ე.წ. „სოციალური კაფეს" ფუნქციონირების მიზნით. ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**